საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/570
2022 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

„2020-2022 წლების ბუნებრივი გაზის ბალანსების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/600 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„2020-2022 წლების ბუნებრივი გაზის ბალანსების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/600 ბრძანებაში (ვებგვერდი, 25/12/2019, 300320000.22.024.016615) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/600 ბრძანების სათაური (სახელწოდება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2020-2023 წლების ბუნებრივი გაზის ბალანსების დამტკიცების შესახებ”.

2. მუხლი 1^2-ის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 1^3:

„მუხლი 1^3. დამტკიცდეს თანდართული „2023 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსი“ 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“.

3. დაემატოს დანართი – „2023 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსი“ ამ ბრძანებაზე თანდართული სახით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი **ლევან დავითაშვილი**